გუშინ საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა დაარსებიდან 80 წლისთავი იზეიმა. დარბაზი "გეპეისტებით" შეივსო და, საქართველოს პრეზიდენტის მოლოდინში, ზოგი ასაკობრივი სერიოზულობით, ზოგიც კეიბატი სიზნკით აზარებდა დროს, ერთმანეთს "კლიჩო" მიმართავდნენ და იხსენებდნენ სტუდენტობას.

ღალი ქაჰრაპა

დარბაზში, როგორც ასეთ შემთხვევას შეშფერის, ქართული მელდიები იფრქვევდა, ეგრანზე კი, მთელი სხდომის განმავლობაში, "გეპეის" ცხოვრების ამსახველი კადრები ცვლიდა ერთმანეთს. ეგრანის შემყურე, იფიქრებდა, რომ ამქვეყნად ყველაფერი ცვალებადი არ არის. მაგალითად, საქართველოში სახეობის სხდომების რიტუალური და საპრეზიდენიო ნაწილი უცვლელია.
სახეობო სხდომა გახსნა ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორმა, რა-

გამა 12 წლის შვილის დაბრუნებას ითხოვს

წლეულს, აგვისტოში, მოქალაქე გიორგი რცხილაძემ მიმართა სახალხო დამცველს ნანა დევედარიანს და სთხოვა, შვილის დაბრუნებაში დახმარებოდა. გუშინ ამ საკითხთან დაკავშირებით, სახალხო დამცველის ოფისში პრესკონფერენცია გაიმართა.

ნანა ქადაგიშვილი

როგორც დაზარალებულმა განაცხადა, 1999 წელს მისი ყოფილი მეუღლე მაია გვარამაძე საბერძნეთში წავიდა და შვილი, 12 წლის გიორგი რცხილაძეც თან წაიყვანა. "მაიას ბავშვისთვის ეიზა არ გაუფორმებია, რადგან მაიმის ნებართვის გარეშე ეიზას არ მისცემდნენ. მან ბავშვი საზღვარზე უკანონოდ გადაიყვანა და საბერძნეთში დღემდე უკანონოდ ჰყავს", - აცხადებს გიორგი რცხილაძე. დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ამ

ირინა სანაბლიძე

გუშინ პირველი საიუბილეო ღონისძიება, რომელზეც ილია გუგუას სახელობის ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბში გაიმართა, მიეძღვნა ცნო-



ლი. ეს ოლიმპიადა წაადგება საქართველოში ინფორმატიკის პოპულარიზაციის საქმეს, - აღნიშნა ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის წევრმა, საქართველოს განათლების სამინისტროში ინფორმატიკის სწავლების მეთოდების განყოფილების ხელმძღვანელმა გიორგი მანდარიამ, - მსოფლიო ოლიმპიადებიდან ჩვენ ყოველთვის მედლებით ჩამოვდიოდით. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს მოსწავლეებს არასახარბიელო პირობებში უწევთ მუშაობა, ნიჭიერი ბავშვები გვყავს და, შესაბამისად, მიღწევებითაც შეგვიძლია ვიამაყოთ. ჩვენი ყოფილი ოლიმპიელებიდან ზოგიერთი ამერიკის წამყვან ფირმაში მუშაობს. მათ შორის მილიონერებიც არიან."

ყველა ქვეყანას უფლება აქვს, ოლიმპიადაზე ჩამოიყვანოს 18 წლამდე ასაკის მოსწავლეებით დაკომპლექტებული ორი, სამი ან ოთხი

გუნდი. საქართველო, როგორც მასპინძელი ქვეყანა, ამ ოლიმპიადაზე ოთხი გუნდით გამოდის. საორგანიზაციო კომიტეტისა და სპეციალისტების მიერ წინასწარაა შემუშავებული პროგრამათა შემფასებელი და განმსაზღვრელი კრიტერიუმები, თუ რამდენადაა პროგრამა პრაქტიკული, გამოყენებითი. დიდი ყურადღება ექცევა ღიაზის.

მოსწავლეები ჟიურის თავად წარუდგენენ საკუთარ ნაშუშევარს, ისაუბრებენ მისი დანიშნულებისა და ტექნოლოგიების შესახებ. ჟიური, რომელიც ყველა მონაწილე ქვეყნის წარმომადგენლებითაა დაკომპლექტებული, წერს ქულებს, აჯამებს მონაცემებს და ავლენს გამარჯვებულს. პროგრამებს მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკური სასახლის სხდომათა დიდ დარბაზში წარმოადგენენ.

ოლიმპიადა 8 ნოემბრამდე გაგრძელდება.

დასახელების განსაკუთრებული პატივი ერგოთ გოგი თოფაძეს, მამუკა ხაზარაძეს და აკაკი ჩხაიძეს, რომლებიც დღესაც არ ივიწყებენ უნივერსიტეტის ამავს და ხელს უწყობენ მის განვითარებას. როგორც მოგვანიებით შევიტყვეთ, აკაკი ჩხაიძე დღესაც უნივერსიტეტის ერთ-ერთ კათედრას უძღვება. ხუროძემ მოწინებთ გაიხსენა მისი წინამორბედი რექტორები, რომელთაგან იქ დამსწრე იოსებ ბუაჩიძეს დარბაზი თბილი და ხანგრძლივ ტაშით შეგვება.
უნივერსიტეტის ობილიე მიულოცეს აკადემიკოსმა გივი ხანაძემ, განათლების მინისტრმა ალექსანდრე კარტოზიამ, ბიზნესმენმა მამუკა ხაზარაძემ და სხვებმა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა როინ მეტრეველმა "გეპეის" ხატოვანად ვირტუალური უნივერსიტეტიც უწოდა.

დღევანდელი უნივერსიტეტის პროფესიული კომპიუტერული და, საერთოდ, ციფრული პოტენციალი აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა. მას პოლიტექნიკური გვარდიის იმედი აქვს ციფრული უთანასწორობის დასაძლევ ბრძოლაში, რომელმაც ამ ბოლო ხანებში სტრატეგიულად პირველი ადგილი დაიკავა და, რამდენიმე თვეა, პრეზიდენტის პიტად გადაიქცა. გუშინვე ზეიმის არაოფიციალური, თეატრალური ნაწილი - კონცერტი, უნივერსიტეტის, მართლაც, დიდი ტრადიციების მქონე ძალებით, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა.

როგორც ყველა ქართულ დღესასწაულს, გუშინდელ ობილიესაც ამშვენებდა სპორტული ნაწილი - "გეპეისტმა" პარლამენტარებმა ქართულ ჭიდაობაში გამოსცადეს ერთმანეთი.

დღეს, რომ მან საბერძნეთის მხარეს სათანადო დოკუმენტები გაუშვანა და ფაქტზე რეაგირება მოსთხოვა, მაგრამ პასუხი არ მიუღია. სამინისტროს მაია გვარამაძესთან დაკავშირებაც უცდია, მაგრამ უშედეგოდ. მისი და მეუღლის ურთიერთობებსა და ბავშვის წაყვანის მიზეზებზე არც მამა საუბრობს. ასე რომ, ბავშვის წაყვანის მოტივი უცნობია. თუმცა, საგარაუდოა: დედა საზღვარგარეთი სამუშაოდ წავიდა და შვილი მაიმის ნებართვის გარეშე წაიყვანა, რადგან იცოდან, არ გაატანდა.
ასეა თუ ისე, საქართველოს საგარეო საქმეთა საკონსულო დეპარტამენტი გიორგი რცხილაძეს დახმარებას პირედება და აცხადებს, რომ მშობლის უფულებების დასაცავად ყველა ღონეს იხმარს.

ბით გამოვიდნენ: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პედიატრიის კეთედრის პროფესორები ირაკლი ციციშვილი და ლელი ქურქაძე, დოცენტი თამაზ მერინაშვილი, ბავშვთა ინფექციურ დაავადებთა კათედრის პროფესორი ალექსი ხოჭავაძე, მიხეილ გურამიშვილის სახელობის პედიატრული კლინიკის გენერალური მდიმარი, პროფესორი ქეთევან ნემსაძე, სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდის პრეზიდენტი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ვიქტორ მოროშკინი და სხვები.

ქალაქის პოლიცია საზოგადოებას ანგარიშს აბარებს

თამარ ქაშიტაძე

თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსმა ლევან მაისურაძემ გუშინ რაიონული პოლიციების და სამმართველოების სამსახურების უფროსები შეკრიბა და მათთან ერთად საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებს კრიმინოგენული მდგომარეობის შესახებ რამდენიმე თვის ანგარიში ჩააბარა.

დედაქალაქის შერიფმა შეხვედრაზე, ძირითადად, პოლიციის მიღწევებს გაუსვა ხაზი: **“ღვთისთვის თბილისში გამოვლენილია 105 დანაშაულებრივი ჯგუფი და დაპატიმრებულია ამ ჯგუფების 245 წევრი. დაკავებულია ათობით ნარკოტიკების რეალიზატორი და ასზე მეტი მძიმე დანაშაულისთვის ძებნილი.”** მიღწეული წარმატებებისთვის მეტი დამაჯერებლობის მისაცემად ქალაქის მთავარმა პოლიციელმა უკვე გახსნილი, თხუთმეტიოდე გახმაურებული საქმეც ჩამოთვალა. მართალია, დედაქალაქის პოლიციის უფროსმა პიტერ შოუს საქმესთან დაკავშირებით თავმოსაწონი ვერაფერი თქვა, მაგრამ ბრიტანელი ზიზნესმენის საქმეზე ახალი ინფორმაციები მაინც მოგვანოდა : **“ცნობილია დამნაშავეთა ჯგუფი. უკვე მოხდა გატაცებაში ექვმიტანილი ერთ-ერთი პიროვნების იდენტიფიკაცია. მართალია, ჯერ არავინაა დაკავებული, მაგრამ გატაცების ბევრი დეტალი უკვე ცნობილია, რასაც, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ვერ ვახმაურებთ”**.

მიუხედავად წარმატებებისა, ქალაქის პოლიციის ხელმძღვანელი არ



მ. თაბაგაძე, პ. შოუსი, ვ. ლევანაძე

უარყოფს, რომ თბილისში მძიმე კრიმინოგენული მდგომარეობაა, მაგრამ, როგორც თავად ამბობს, სამართალდამცავები დანაშაულთან საბრძოლველად მრავალნაირ ზომებს მიმართავენ. მაგალითად, რამდენიმე ხნის წინ შექმნილა საპატრულო ჯგუფები, რომლებიც დღე-ღამის განმავლობაში აკონტროლებენ საეჭვო უბნებს. კრიმინალუბთან ამგვარ დაპირისპირებას გარკვეული შედეგიც გამოუღია - სამართალდამცველებს რამდენჯერმე დანაშაულის ჩადენის მცდელობა ალუკვე თავთ, რამდენჯერმე კი დამნაშავეები შემთხვევის ადგილზევე დაუკავებიათ.

ქალაქის კანონდამცველების გაძლიერებული მუშაობის შედეგია ისიც, რომ გუშინ გვიან ღამით მომხდარი ორი მკვლელობა გუშინვე, ცხელ კვალზე გაიხსნა. ისინი-სამგორის რაიონის პოლიციელებმა შეიპყრეს ღესწერაშვილი, რომელმაც ვაზისუბანში თავში ბლავეი საგნის ჩარტყმით მოკლა ნადარია, ხოლო ვაკეში გულიევის მკვლელი გაზომოვი დააკავეს.

“სამმართველოში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ადამიანის უფლებების დაცვას. საზოგადოებას არ სჭირდება ისეთი პოლიციელი, რომელიც მის უფლებებს დაარღვევს,” – განუცხადა ჟურნალისტებს

მაისურაძემ და დამატა, რომ, ამ მხრივ, გამოვლენილი და დასჯილია ათობით მათი კოლეგა - კონკრეტული პირები ქალაქის სამმართველოს უფროსი არ დაუსახელებია.

ჟურნალისტებთან სისტემატურ შეხვედრებსა და მათთვის პოლიციის მუშაობის შედეგების გაცნობას ლევან მაისურაძე საზოგადოებასთან დაახლოების სურვილით ხსნის. **“ჩვენთვის უმნიშვნელოვანესია საზოგადოების კონტროლი, რადგან დამსახურებული კრიტიკა მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების საინდანარია,”** –უთხრა შეხვედრის მონაწილეებს ქალაქის პოლიციის შეფმა.

ნაცვამი რედაქტორი ხელს პრაზიდენტის პრესმდივნისკენ იზვარს

კახა იმნაძე ბრალდებებს აღმამფოთებელსა და მიუღებულ ცილისწამებას უწოდებს

თამარ ქაშიტაძე

“ქართველი სამართალდამცველები იზნონირებას უკეთებენ მასმედიის თანამშრომლების მიმართ განხორციელებულ დანაშაულებებს - დღემდე არ გამოიძიებიათ გიორგი სანაძის მკვლელობა; არ არის დასრულებული ზე, ალბათ, არც არასოდეს დასრულდება ღამა ტულუშის, ალეკო ცქიტიშვილის, ღამა წადარიშვილის, გიორგი კაპანაძის და სხვა ჟურნალისტების ცემის ფაქტების გამოძიება. ეს იმის ბრალია, რომ ჩვენ - ჟურნალისტები არ ვდგავართ ჩვენს სიმალულზე, ვერა, დასრულებს ჟურნალისტების წინააღმდეგ ტერორი,” – ამბობდნენ გაზეთ “თბილისის” რედაქტორის, სოსო ჭუმბურიძის კაპინეტში შეკრებილი მასმედიის წარმომადგენლები. თავად რედაქტორი ამ შეკრებას არ ესწრებოდა, რადგან იგი ტერორის მორიგი მსხვერპლი გახდა და, ექიმის მითითებით, შინ იმყოფებოდა.

გუშინ, დაახლოებით, დილის ათის ნახევარზე ლიფტიდან გამოუსულ ჟურნალისტს ორი პიროვნება დაესხა თავს. **“ლიფტიდან ჯერ ჩემი მუელუდ და 11 წლის შვილი გამოვიდნენ. თავდამსხმეულებმა, რომლებიც კედლთან იდგნენ, ისინი გაატარეს, მე კი, გამოვედი თუ არა,**

მაშინვე მომვარდნენ და ცემა დაიწყეს. უცნობები მუშტებს, ძირითადად, თავში მიირტყამდნენ. მეუღლის და ბავშვის ყვირილზე ხალხი გამოვიდა. თავდამსხმელებს, ეტყობა, შეეშინდათ და გაიქცნენ,” – ისხენებს გაზეთ “თბილისის” რედაქტორი.

დაზარალებული ჟურნალისტის სოლიდარობის ნიშნად, “ახალგაზრდა ივერიელის” რედაქტორმა გიგლა გომეჩიამ გამომცემლობა “სამშობლოში” შეკრებილ ჟურნალისტებს რედაქტორის ცემის “შემკვეთი” დაუსახელა. **“მე მოვიწახლულ სოსო ჭუმბურიძე, რომელმაც განაცხადა, რომ მისი ფიზიკური შეურაცხყოფა პრეზიდენტის პრესცენტრის უფროსმა კახა იმნაძემ შეუკვეთა,”** –განაცხადა გომეჩიამ.

რამდენიმე წელია, გამომცემლობა “სამშობლოში” განთავსებული ათი გაზეთი, გამომცემლობის პრეფაქტუაციის წინააღმდეგ, სასამართლოში დაბოს. ისინი შენობის გასხვების ერთ-ერთ ინიცატორად კახა იმნაძეს ასახელებენ. აღნიშნულ თემაზე, პერიოდულად, გაზეთ “თბილისში” ქვეყნდება წერილები. **“30 ოქტომბერს “თბილისში” სოსო ჭუმბურიძის საანონსო წერილი - “მარცხენა ავაზაკი” გამოქვეყნდა, რომელშიც პრეზიდენტის პრეს-სამსახურის უფროსის შავ-შნელ საქმიანობაზეა საუბარი. რამდენი-**

მე დღეში წერილი სრული სახით უნდა დაბეჭდილიყო. კახა იმნაძეს ამ წერილის დაბეჭდვა ხელს არ აძლევს და ამიტომ დარწმუნებული ვართ, რომ ჭუმბურიძის ცემა, სწორედ, ამ წერილის გამოქვეყნებას უკავშირდება,” – თქვა გიგლა გომეჩიამ.

გაზეთ “თბილისში” გამართულ პრესკონფერენციაზე წარმოთქმულ ბრალდებებს სახელდახელო პრესკონფერენციითვე უპასუხა პრეზიდენტის პრესმდივანმა კახა იმნაძე-მაც, რომელმაც სოსო ჭუმბურიძის ცემის ფაქტს შემზარავი და აღმაფრთხილები უწოდა. **“ჩემთვის მით უფრო შემზარავია მომხდარი ფაქტი, რომ დაზარალებული დანაშაულის შემკვეთად მე მასახელებს. ძნელია, ამტკიცო, რომ აქლემი არ ხარ. მართალია, თანავუგრძნობ ჭუმბურიძეს, მაგრამ ჩემს მიმართ მისი ბრალდებები აღმამფოთებელი და მიუღებელი ცილისწამებაა,”** –განაცხადა კახა იმნაძემ. იმის დამამტკიცებლად, რომ მას და, საერთოდ, მის სამსახურს არანაირი შეხება არ აქვთ გამომცემლობა “სამშობლოსთან”, პრესმდივანმა გამომცემლობის მეს-მდე გადაკეთების ფაქტი დაასახელა. **“გამომცემლობა ქიწენის მართვის სამინისტროს განკარგულებაშია და, აქედან გამომდინარე, მის განკარგვასთან ვერანირი შეხება ვერ მექნება. დარწმუ-**

ნებული ვარ, რომ გამოძიება მალე დასრულდება და რეალური დამნაშავეები გამორწნდებიან,” – იმედოვნებს პრეზიდენტის პრესმდივანი.

თუმცა, გამოძიების დასრულებამდე ჯერ კიდევ დიდი დროა. თავად დაზარალებულმა გუშინ მასთან სახელმისულ რაიონის პოლიციის თანამშრომლებს ჩვენების მიცემაზე უარი განუცხადა და დღის მეორე ნახევარში პირდაპირ გენერალურ პროკურორს მიმართა განცხადება. საბოლოოდ, ვის ამხელს გამოძიება, წინასწარ ძნელი სათქმელია.

ვიდრე გამოძიება დაადგენს, ვისი დაკვეთით დაესხნენ “თბილისი” რედაქტორს, ჟურნალისტები საკუთარ პოზიციას გამოხატავენ.

გამომცემლობაში შეკრებილმა პრესის წარმომადგენლებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ სოსო ჭუმბურიძეზე მომხდარი თავდასხმა მარტო ერთი ჟურნალისტის პრობლემა არ არის. **“იმისათვის, რომ აღარ განმეორდეს მასმედიის სხვა წარმომადგენლებზე ფიზიკური და სხვა სახის ზეწოლა, საჭიროა, ერთად დავედეთ და რეალური ღონისძიებები გავატაროთ,”** – გადანწყიტეს ჟურნალისტებმა. მომხმდებელს დაკავშირებით პასუხს პრესის წარმომადგენლები ხუთშაბათს ჟურნალისტთა სახლში ულიან - უშიშროებისა და შინაგან საქმეთა მინისტრებისგან და გენერალური პროკურორისგან.

როგორ დავიცვათ თავი გამოძიების მიმდინარეობისას

სასამართლო პროცესებზე განსაჯელები და მათი ადვოკატები ხშირად წინასწარი გამოძიებისას გამოძიებულებისა და პროკურორების მიერ ჩადენილ უკანონოზზე საუბრობენ. საქმის გამოძიების დროს გამოძიებლის მიერ შეგნებულად დამტყუბელი შეცდომები სასამართლოში ამ კარს ხდება ხოლმე. მართლმსაჯულებასაც არც ისე იშვიათად უწევს იმის დადგენა, მართლაც დაირღვა თუ არა გამოძიების მსჯელობისას ამა თუ იმ ბრალდებულის უფლებები. თუმცა, ამის ბოლომდე გარკვევა ხშირ შემთხვევებში უკვე ვერ თუ არ ხერხდება. თუ თქვენ გეცოდინებათ საკუთარი უფლებები, სასამართლოში შეძლებთ გამოძიების მიერ თქვენს წინააღმდეგ შეგნებულად დამტყუბული შეცდომების გამოამკარავებას.

არავის დაბატმირება არ შეიძლება მოსამართლის ბრძანების გარეშე. თქვენ ბრალდებულის ხართ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გამოძიებელი ან პროკურორი გამოიტანს დადგენილებას თქვენი ბრალდებულის სახით პასუხისმგებამი მიცემის შესახებ. იცოდეთ, რომ დადგენილების ტექსტი აუცილებლად უნდა გაგაცნონ, რის შემდეგაც შეგიძლიათ მას ხელი მოაწეროთ, ან არ მოაწეროთ. უფლებმა გაქვთ დაუყოვნებლივ შეატყობინოთ ნათესავებსა და ახლობლებს თქვენი დაკავების ადგილსამყოფელი. ბრალდების წაყენების შემდეგ, პირველ დაკითხვამდე, თქვენ გაქვთ თქვენს დამცველთან პირისპირ, ცალკე შეხვედრის უფლება. კანონი განიჭებთ უფლებას, ბრალდებისგან ყოველგვარი საშუალებითა და მეთოდით დაცვათ თავი და გამოიყენოთ ყველა შესაძლებლობა, რათა მოემუზადოთ დაცვისთვის. თუმცა, ბრალდებისგან

დაცვა არ ნიშნავს თავის მართლებას. თქვენ შეგიძლიათ თავი დაიცვათ დღე-ღამით, ანუ გამოძიებას არ მისცეთ არანაირი ახსნა-განმარტება და ჩვენება. შეგიძლიათ მისცეთ, ან არ მისცეთ ჩვენება, ან მისცეთ ცრუ ჩვენება, რისთვისაც პასუხს არ აგებთ. თქვენს მიერ უარის თქმა ჩვენების მიცემაზე, ან ცრუ ჩვენების მიცემა არ შეიძლება გამოიყენონ თქვენი ბრალის დაამდასტურებლად. გამომძიებელმა ჩვენება უნდა ჩამოგართვათ ძალდატანებლად, ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ზემოქმედების, მოტყუების, იძულების, დაპირების, დაყოლიების გარეშე. იცოდეთ, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ხერხებით მიღებული ჩვენება მტკიცებულებად არ გამოიღდება.

გამომძიებელი ვალდებულია აცხადოს თქვენი უფლებები და თუ ამას არ გაუტყვებს, ეს თქვენ უნდა მოითხოვოთ. ისიც არ დაგავინწყდეთ,

რომ თქვენ ვალდებული არ ხართ ამტკიცოთ თქვენი უდანაშაულობა, მტკიცება გამოძიებლის მოვალეობაა.

დადგენილება თქვენი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ, საბრალდებო დასკვნა, განამტყუნებელი განაჩენი და ყველა სხვა დოკუმენტი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი უნდა გადადგდეს თქვენს სასარგებლოდ. თქვენს მიერ დანაშაულის აღიარება საკმარისი არ არის თქვენი დადანაშაულებისთვის. თქვენ უფლებმა გაქვთ შეიტყობოთ საჩივარი გამოძიებლისა და პროკურორის ნებისმიერ უკანონო ქმედებაზე. შეგიძლიათ მოითხოვოთ უკანონო და დაუსაბუთებელი დაპატიმრების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

თქვენ უფლებმა გაქვთ მოითხოვოთ ადვოკატი დანიშნვით, თუ არ შეგიძლიათ გადაიხადოთ ადვოკატის მომსახურების საფასური. ამ შემთხვევაში თქვენი დაცვის ხარჯები სახელმწიფო ბიუჯეტმა უნდა გაიღოს. დაცვა დანიშნვით გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა თქვენ არ მოიგნევევით ადვოკატი შეთანხმებით.

კანონი დასდევთ უფლებას, რომ ნებისმიერ დროს და ნებისმიერი მოტივით უარი თქვათ დანიშნულ ადვო-

კატზე და მოინეოთ დამცემელი შეთანხმებით, ანდა დაცვა დამოუკიდებლად განახორციელოთ. გამოძიებული ვალდებულება, რომ დაუყოვნებლივ მასპრობის თქვენი მათხოვნა. შეგიძლიათ ნებისმიერ დროს, ნებისმიერი მიზეზით შეცვალოთ პოზიცია და ხელახლა მოითხოვოთ დაცვა დანიშნვით. განმეორებითი მოთხოვნაც დაუყოვნებლივ უნდა დაკმაყოფილდეს.

გამომძიებელს ან პროკურორს უფლება არა აქვს, რეკომენდაცია გაუწიოს თქვენ ახმლდებეს კონკრეტულ ადვოკატთან დაკავშირებით. გამოძიებისას დამცველთან უნდა შეგაზევდრო შეხვედრის ხანგრძლიოების მუხუზულუდავად. გამოძიების პროცესში შეგიძლიათ: ისარგებლოთ იურიდიული ლიტერატურით; მოითხოვოთ საკანცელარიო საგნები საჩივრების, შუამდგომლობებისა და სხვა დოკუმენტების შესადგენად; ნებისმიერ დროს აცულოთ მისცეთ გამომძიებელს, პროკურორს, ექსპერტს, ადვოკატს, თუკი ფიქრობთ, რომ იგი არ არის ობიექტური და მიუკერძოებელი.

თქვენ შეგიძლიათ წარმოადგინოთ ნებისმიერი მტკიცებულება, ანუ მოითხოვოთ თქვენთვის სასურველი მონმის დაკითხვა, ან იმ დოკუმენტებისა და ნივთების ამოღება და წარმოდგენა, რომელებიც თქვენ უდანა-

მოკლედ

თბილისი. პანკისის ხეობასა და მთლიანად ახმეტის რაიონში 10 ნოემბრიდან პოლიციის დროებითი საგანგებო სამსახური დაიწყებს მუშაობას.

კახეთის სამხარეო პოლიციის უფროსის ზურაბ ტუმურის განცხადებით, საგანგებო სამსახური უშუალოდ შს მინისტრის კოზა ნარჩემაშვილის გადწყვეტილებით იქმნება. უკვე დაკომპლექტებულია 70-კაციანი დანაყოფი, რომელიც ახმეტაში სპეციალურად გამოყოფილ შენობაში განთავსდება და დაევალება წესრიგის დაცვა არა მარტო პანკისის ხეობაში, არამედ მთლიანად ახმეტის რაიონში. პანკისის ხეობაში დისლოცირებული შინაგანი ჯარის ნაწილებში და ახლადწამოყალიბებულ პოლიციის საგანგებო სამსახურში, ქართველ პოლიციელებთან ერთად, ქისტებიც იმსახურებენ.

როგორც ზურაბ ტუმური აცხადებს, სამსახურში უკვე აიყვანეს სამი ქიტი, რომლებსაც პოლიციის აკადემია აქვთ დამთავრებული. განხილვის სტადიაშია კიდევ რამდენიმე ქისტის განცხადებაც. პოლიციის უფროსის თქმით, დროებითი საგანგებო სამსახური მანამდე არ შეწყვეტს ფუნქციონირებას, ვიდრე პანკისის ხეობა მთლიანად არ გაიმინდება შეიარაღებული პირებისა და კრიმინალებისგან.

“პანკისის ხეობაში ოპერატიული და სამძებრო სპეცღონისძიებები გეგმის მიხედვით ხორციელდება, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი სამუშაოა ჩასატარებელი”, - განაცხადა ზურად ტუმურმა.

ამჟამად პანკისის ხეობის 12 სოფელში შინაგანი ჯარისა და პოლიციის 13 ბლოკ-საგუშაგოა მოწყობილი. **პრაიმ-ნუსი.**

■ ■ ■

თბილისი. ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში განლაგებული შერეული სამშვიდობო ძალების სარდალმა, გენერალ-მაიორმა ვასილი პრიზმბოინმა კონფლიქტის მოგვარების შერეული საკონტროლო კომისიის თანათამგვდომარეებს მოუწოდა, რომ რეგიონის სამ სოფელში გახსნილი საქართველოს შს-ს საგუშაგოები შერეული საკონტროლო კომისიის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოიყვანონ.

პრიზმბოინმა განაცხადა, რომ ამ საგუშაგოების გახსნა შერეული საკონტროლო კომისიის თანათამგვდომარეებთან შეთანხმების გარეშე მოხდა. მისი თქმით: **“ეს მხოლოდ მისასაღმებელია, მაგრამ საგუშაგოებზე უნდა იყვნენ ადგილობრივი სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებიც. იქ უმეტესობა ჩასულები არიან, რაც ადგილობრივ მოსახლეობაში ფსიქოზის ატმოსფეროს ქმნის, ხშირია გამოძაღვის ფაქტებიც”**.

გენერალი თვლის, რომ შერეული საკონტროლო კომისიის თანათამგვდომარეებს თბილისიდან, ცხინვალიდან, ვლადიკავკაზიდან და მოსკოვიდან მუშაობით, საგუშაგოების საკითხი დაარეგულირონ სამუშაო წესით, სპეციალური შეხვედრის გარეშე.

“პრიზმბოინს გადაწყვეტა ოპერატიულად არის საჭირო, რათა კონფლიქტის ზონაში სიტუაციის განწევაება თავიდან ავიცილოთ,” - განაცხადა გენერალმა. **პრაიმ-ნუსი.**

■ ■ ■

თბილისი. გუშინ სტრასბურგის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლომ საქართველოში საზღრის დარღვევითვის დაკავებული 13 ჩჩნის სარჩელის განხილვა დაიწყო. სასამართლომ რუსეთიდან და საქართველოდან მიღებული მასალების საფუძველზე უნდა დაადგინოს, რამდენად კანონიერად მოხდა 4 ოქტომბერს 5 ჩჩნის თბილისიდან რუსეთში ექსტრადიცია.

დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში ქართული მხარე სერიოზული პრობლემის წინაშე დადგება, რადგან საქართველოს საკმაოდ დიდ საჯარიმო სანქციებს დააკისრებენ. იუსტიციის სამინისტროში აცხადებენ, რომ მათ ხელთ არსებული მონაცემებით, სტრასბურგის სასამართლომ არა ხუთი ეტაპირებული კანონიერება, არამედ ცამეტზე ჩჩენის ექსტრადიციის შეჩერების საკითხი უნდა განიხილოს, რადგან ბრალდებულებმა და მათმა ადვოკატებმა 4 ოქტომბერს, დილით, სტრასბურგში გაგზავნილ სარჩელში ითხოვეს სწორედ ექსტრადიციის პროცესის შეჩერება და საქმის მასალების გაცნობა.

რეკომენდაცია, რომელიც სტრასბურგიდან ბრალდებულების სარჩელის მიღების შემდეგ იუსტიციის სამინისტროში იქნა გამოგზავნილი, ექსტრადიციის პროცესის შეჩერებასა და ადვოკატებისთვის საქმის მასალების გაცნობის უფლების მინიჭებას ითვალისწინებდა.

რეკომენდაცია თბილისში 4 ოქტომბერს, გვიან საღამოს ჩამოვიდა, როდესაც 13 დაკავებულთან 5 უკვე რუსეთში იყო გადაგზავნილი. იუსტიციის სამინისტროს მტკაცებით, 5 ჩჩნის ექსტრადიციის საკითხი ბრალდებულების ადვოკატებს სტრასბურგის სასამართლოში არ გაუსაჩივრებიათ. **პრაიმ-ნუსი.**

■ ■ ■

მოსკოვი. რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანმა ვლადიმირ რუშაილომ მოუწოდა საქართველოს, დახმარება გაუწიოს საერთაშორისო ტერორისტის, რუსლან გელაევის, დაპატიმრების საქმეში. მან ამის შესახებ კრემლში საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივანთან, თედო ჯაფარიძესთან, შეხვედრისას განაცხადა.

“რუსეთისა და საქართველოს პრეზიდენტებს შორის კომინიოვის მოლაპარაკებების დროს მიღწეული შეთანხმებით, ასევე უკანასკნელი საქალფირო საუბრების შინაარსის შედეგად დარწმუნდით, რომ საქართველო არ გააჭიანურებს რუსი სამართალდამცავებისთვის იმ ჩჩენი ბოევიკების გადაცემას, რომლებიც სხვადასხვა მძიმე დანაშაული ჩაიდნეს და რომლებიც 3-4 აგვისტოს საქართველოში იარღილი ხელში დააკავეს,” - განაცხადა რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანმა.

ამასთან, მან აღნიშნა, რომ თბილისში გამოგზავნილი იყო დოკუმენტები, “რომელიც ამტკიცებს ბოევიკების კავშირს რუსეთის ტერიტორიაზე ჩადენილ დანაშაულთან”. “ამავე კონტექსტში საქართველოსგან ველოდებით ქმედებებს საერთაშორისო ტერორისტის რუსლან გელაევის დაკავევის საკითხში,” – აცხადებს რუშაილო. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

ზუგდიდი. აფხაზეთში მძევლად გადაყვანილი აფხაზეთის “საფოსტო ბანკის” მოღარე ხათუნა ხორავა გუშინ გაათავისუფლეს. გაათავისუფლების შემდეგ საუბრობენ იმაზე, რომ გადახდილ იქნა გარკვეული რაოდენობის თანხა.

ხათუნა ხორავა სამი დღის წინ გაიტყვეს. გამტყვევებელმა დააპირებოდა 20 ათასი დოლარის გადახდა მოითხოვდა. ხორავა ენგურის ხიდზე აფხაზეთის დაუპირირებლობის მოძრაობის ლიდერის, შალვაზონის, მუელუდა. საგვარდლოდ, მძევლად აყვანაც მის წინააღმდეგ იყო მიმართული. მომხდართან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

თბილისი. პოლიციამ დააკავა გუთვის ინსტიტუტის გაქურდვაში ექვმიტანილი. როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს პრეს-სამსახურში აცხადებენ, პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს მესტიის მკვიდრი, 1971 წელს დაბადებული გოჩა ჯავაჩიძე.

პოლიცია ვარაუდობს, რომ ჯავაჩიძე, თანამზრახველებთან ერთად, დაკავშირებულია ინსტიტუტის შენობის გაქურდვის საქმესთან. ქურდობა გასული წლის 28 სექტემბერს მოხდა. ინსტიტუტის სალაროდან ქურდებმა 90 000 ლარი გაიტაცეს. **კავკას-პრესი.**

შაულებას ადასტურებენ, ან ბრალს განსუზუტებენ.

არ დაგვიწყდეთ ალიბის გამოყენება. ფაქტი იმის შესახებ, რომ თქვენ არ იმყოფებით დანაშაულის ჩადენის ადგილზე და არც შეიძლება იქ ყოფილიყავით იმ დროს, შეგიძლიათ დაადასტუროთ მოწმეებისა და დოკუმენტების საშუალებით. ასევე შეგიძლიათ დაპირისპირება იმ პირთან, რომელიც დანაშაულის ჩადენაში გამხელთ. კანონით გათვალისწინებული ბრალდებულის უფლებით, შეგიძლიათ მოითხოვოთ იმ საკამოძიებო მოქმედების ჩატარება და იმ მტკიცებულებათა გამოთხოვა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია ბრალდების უარყოფა ან პასუხისმგებლობის შემსუზუტება. უფლებმა გაქვთ მონაწილეობა მილოთ თქვენი (თქვენი დამცველის) მოთხოვნიტ ჩატარებულ ყველა საგამოძიებო მოქმედებაში. გამოძიებელმა უნდა გაგაცნოთ დადგენილება ექსპერტის დანიშვნის შესახებ და ექსპერტის დასკვნის გაცნობის უფლებაც გაქვთ. შეგიძლიათ აციულო მასცხეთ ექსპერტს, ან მოითხოვოთ ალტერნატიული ექსპერტის საკუთარი ხარჯებით. ასევე უფლებმა გაქვთ, დაუსვათ ექსპერტს დამატებითი კითხვები, მონაწილეობა მიიღოთ ექსპერტის დაკითხვაში.

თქვენი და დამცველის საუბრის ჩუმად მოსმენა, მეთვალყურეობა, აგ-

რეთვე დამცველთან თქვენი მიმოწერის შემონმება დაუმწეებელია გამოძიების მიერ. ამ მოთხოვნის დარღვევით მიღებული ინფორმაცია მტკიცებულებად არ დაითვება.

ტერაქტის შემდეგ რუსები ჩერენ ქალბისა და ბავშვებს სასტიკად ექცევიან

პარიკო თაყაძაძე

“მოსკოვის შტურმის შემდეგ რუსი სამხედროები გაუგონარ სისასტიკეს იჩენენ ჩეჩენი ქალებისა და ბავშვების მიმართ. ასე იმიტომ იქცევიან, რომ ტერაქტში ქალებიც მონაწილეობდნენ. ჩეჩენეთში არ არსებობს საინფორმაციო საშუალებები; აქედან გამომდინარე, მსოფლიოში ვერ ვრცელდება ობიექტური ინფორმაცია ჩეჩენეთში მიმდინარე მოვლენების შესახებ”, - განაცხადეს გაუზი შურნალისტებთან შეხვედრაზე: საქართველოში ჩეჩნეთის არაოფიციალურმა წარმომადგენელმა ხიზრი აღდამოვი, ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის წევრმა პაატა შუქელიძემ და საქართველოში ჩეჩნური დიასპორის წარმომადგენელმა მექა ხანგოშვილმა.

“ტერაქტამდე ბავშვებსა და ქალებს მაინც ინდობდნენ. ახლა 10

წელს გადაცილებულ გოგონებს იტაცებენ, მათ ოჯახებს აწიოკებენ. ამის შესახებ ინფორმაცია საერთაშორისო მასშტაბით ვერ ვრცელდება. რუსეთის საინფორმაციო საშუალებები დაბოლილია. ერთადერთი, საქართველოს მასმედისი დახმარებით თუ ვუყვებნები მსოფლიოს, რას სჩადიან რუსები ჩეჩენეთში”, - ხიზრი აღდამოვი პრესკონფერენციაზე საკუთარ პრობლემაზეც ისაუბრა. კერძოდ, თქვა, რომ ბოლო ხანს უცხო პირები უთვალთვალებენ, დასდევენ მანქანით და ვიდეოკამერით აფიქსირებენ მის ყოველ ნაბიჯს.

ხიზრი აღდამოვი აცხადებს, რომ საქართველო მისი ერთადერთი სამშობლოა და სხვაგან წასვლას არ აპირებს. “თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი ჩემს ექსტრადიციას მითიხვს, იძულებული ვიქნები, უცხოეთში მოვიხიზოვო პოლიტიკური თავშესაფარი.” აღ-



მექა ხანგოშვილი და ხიზრი აღდამოვი

რუსი ჟურნალისტები ხელისუფლების წინაშე

რუსიდან ნიკარაძე
საქ. კორ. მოსკოვი

სოციალური ექსტრემიზმის გამოკვლევათა ცენტრის პრეზიდენტმა ანდრეი ბერკოვმა მოსკოვში ჟურნალისტის ცენტრალურ სახლში გამართულ პრესკონფერენციაზე სენსაციური განცხადება გააკეთა - ღუბროვკაზე შტურმის განკარგულება პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა გასცა. ბერკოვის თქმით, “გადაწყვეტილება უმაღლეს დონეზე იქნა მიღებული და იგი გამოხატავს პრეზიდენტის პირველ, ძლიერ პოზიციას, რაც მის სტილშია.”

ბატონი ბერკოვი პრესის მუშაკებისაგან მოითხოვს სპეცსამსახურებისა და სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებზე მეტი ჰუმანიზმით წერას, “აღფას” გმირებზე

პატრიოტული წერილების გამოქვეყნებას და ფილმების გადაღებას, რადგანაც “ისინი ახალი რუსეთის გმირები არიან”. ბერკოვის თქმით, “აღფას” წერათა უმრავლესობა მოსკოვის “კომუნალკებში” ცხოვრობს და სასაცილო ჯამაგირი აქვს.

მოსკოვში ტერაქტის შემდეგ, გაიზარდა პუტინის ისედაც მწ-პროცენტიანი რეიტინგი. ყოველ შემთხვევაში ცდილობენ, ამაში დაარწმუნონ ყურნალისტები და მათი მეშვეობით - საზოგადოება. იგივე ბერკოვი მიიჩნევს, რომ “მოსკოვის ტერაქტის შემდეგ, მოხდება აშშ-სთან დაახლოება ინფორმაციითა გაცვლის, სპეცსამსახურების კოორდინაციის, სამხედრო-ტექნიკური დახმარების სფეროში.

ანდრეი ბერკოვი: “არ უნდა დავავიწყდეს, რომ პირველი ჩეჩნური კამპანიის დროს რუსეთმა ინფორ-

მაციული ომი წააგო მოვლადი უღუგოვთან. დღეიდან ეს აღარ უნდა გამეორდეს და ჩვენს ტელეგადაცემებსა თუ პუბლიკაციებში უნდა წავახალისოთ ისინი, ვინც საკუთარი სიცოცხლის ფასად ეომებიან ტერორისტებს. ჟურნალისტებმა ანგარიში უნდა გაუწიონ იმას, რომ გაჩნდა ტერორისტთა ახალი გენერაცია, რომელიც სისხლით აზროვნებს, მაგრამ ისინი არავითარ შემთხვევაში არ უნდა აფუროთ რუსეთში მცხოვრებ კავასილებში, რომლებიც სოციალურად სასარგებლო მისიას ასრულებენ - ვაჭრობენ. ამიტომ მათ ხელს არ აძლევს ამ ქვეყნის ტერიტორიაზე დივერსიული აქტების მოწყობა, რადგანაც აქედან ოჯახებს ინახავენ. ღუბროვკაზე ტერაქტმა იმ დღეებში არნახულად გაააქტიურა მოსკოვში მცხოვრები ჩეჩნური დიასპორა,

რომლებიც ან იარაღს ითხოვდნენ ტერორისტებთან გასამკლავებლად, ან - მიქვლების ჩანაცვლებას. ტერორიზმს წარმოშობს სოციალური უსამართლობა, ამიტომ ხელისუფლებამ სპეცდანიშნულების სამსახურების მაღალ ხელფასებზე უნდა იფიქროს, თქვენ კი ისინი უნდა წაახალისოთ.”

როგორც ჩანს, პრეზიდენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, მოსკოვში მომხდარი ტერაქტის შემდეგ, განხილვას აღარ ექვემდებარება. გასაგებია, რომ ტერაქტის შემდეგ ხელისუფლება ამკაცრებს პოზიციას მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისადმი, ცალკეული ჟურნალისტებისა და იმ მედიაკოლექტივებისადმი, ვინც ექსტრემალურ პირობებში პრესაზე კანონს დაარღვევენ (სხვათაშორის, დასჯის პირველი სამკვნიებელი აქცია უკვე მოყვია წაზეთ

“ვერსიაში”, რომელსაც დღემდე გამოიბის ფედერალურ სამსახურთან არავითარი პრობლემა არ ჰქონია). პარლამენტმა უკვე შეიტანა პრესის კანონში სათანადო შესწორებები, მაგრამ რუს ჟურნალისტებს წარმოდგენა მაინც არ აქვთ იმაზე, რისი თქმა შეიძლება და რისი არა; ან როგორ დაგვჯიან, ან ვინ გააკონტროლებს ეთერს და პუბლიკაციებს.

“24 საათისათვის” მიცემულ ინტერვიუში ექსტრემალური ჟურნალისტების ცენტრის ხელმძღვანელი ილიკე პანფილოვი აცხადებს, რომ “რუსეთის ბეჭდვის სამინისტროს რეკომენდაციებს არავითარი იურიდიული ძალა არ გააჩნია და რეკომენდაციები მინისტრ ლესინის მცდლობაა, როგორმე თავი მოაწონოს ხელისუფლებას”.

სამინისტროს რეკომენდაციები კრიტიკულ სიტუაციებში ჟურნალის-

ტთა მოქალაქეობრივი თვითცენზურის გამოშუავებას გულისხმობს - ჟურნალისტები ტერორისტებს არ უნდა დაეხმარონ, მოახლოება შეცდომამა არ უნდა შეიყვანონ, ეროვნებათაშორისი შუღლი არ უნდა გააჩაღონ. სამინისტროს რეკომენდაციები გულისხმობს ტერაქტის პროცესში ინტერვიუერი პიროვნებების შეთანხმებას ოპერატიულ შტაბთან და აშ.

თქმა არ უნდა, ღუბროვკაზე ტერაქტის შემდეგ რუსეთის პოლიტიკური რეჟიმი მკაცრდება და არა მარტო ჩეჩენ ტერორისტებთან მიმართებაში. რადგანაც ჩეჩენეთთან ომი გრძელდება და მომავალი ტერაქტების თავიდან აშორების გარანტიასაც არავინ იძლევა, შეიძლება დავასკვნათ, რომ ამ რეკომენდაციების აქტუალობას მომავალი გამოსცდის. ხელისუფლება ამისათვის ემზადება და ჟურნალისტებსაც ამაზბდებს.

თედო ჭაფარიძე: „რუსეთის მხარა დაზინფორმირებალი აღმორცადა“

როგორ გადაება ერთმანეთს პანკისის ხეობაში გლობალიზმი და ტერორიზმი

პირველი გვარდიცა

- რუსი ჟურნალისტის მიერ ამ ინფორმაციის ინტერპრეტაცია ძველ დიდ საბჭოთა პერიოდს მაგონებს, ან იმ ცნობილ პიროვნებას, რომელიც ადოლფ ჰიტლერს ეხმარებოდა (გებელსი მყავს მხედველობაში) პროპაგანდისტულ ხრიკებში. ამგვარი არაფერი მითქვამს და ამაში დამერწმუნებთან ამ ბრიფინგზე დამსწრე თქვენი რუსი კოლეგები, ქართველი დიპლომატები, რუსეთის უშიშროების საბჭოს წევრებიც. შეიძლება ისიც ვუთხრათ ქართველ მკითხველს, რომ “რია-ნოვოსტის” კორესპონდენტის შეკითხვა კრემლში დაახურული სხდომის დროს დაიცვამა.

- ანუ ეს შეკითხვა თქვენთან წინასწარ შეთანხმებული იყო და ელოდით, რომ ამ საკითხის კომენტირება მოგიწევდათ?

- ეტყობა, პრესის დემოკრატიის ხარისხი ამ ქვეყანაში ასეთია: შეკითხვები წინასწარ იგეგმება და მეც, ბუენარეოი, დაგვამილი პასუხი მქონდა, მაგრამ შემდეგ, როგორც გაირკვა, კორესპონდენტმა საკუთარი ინტერპრეტაცია დაამატა. კითხვაზე, დაიხურა თუ არა ჩეჩნეთის წარმომადგენლობა თბილისში და რა შეფასებას მისცემდით ხიზრი აღდამოვის საქმიანობას, ვუპასუხე, რომ აღდამოვის წარმომადგენლობა, მისი კანონიერება ან არაკანონიერება რთულად ასახსნელი მომენტია, რადგანაც ხიზრი აღდამოვის წარმომადგენლობა ოფიციალურად საქართველოში არ არსებობს, რომ იგი არის კერძო პირი, საქართველოს მოქალაქე, რომელსაც შეუძლია, რაც სურს, ის დაარქვას ორგანიზაციას, თუკი კანონს არ არღვევს.

იგივე კორესპონდენტს კითხვა შეეუბრუნე და მივმართე: რატომ არ აუქმებენ მოსკოვში აფხაზეთის წარმომადგენლობას, რომელსაც თითქმის ოფიციალური სტატუსი აქვს? ამას მოჰყვა კორესპონდენტის ტირადა...

- საქართველო აყენებს ამ საკითხს და კვლავაც მოითხოვს, რომ რუსეთის ხელისუფლებით ოფიციალურმა პირებმა აფხაზეთში ოფიციალური მოლაპარაკებები უმაღლეს დონეზე ჩვენთან შეუთანხმებლად არ აწარმოონ. მე ეს ვუთხარი რუშმაილოს, ერთი-ერთზე საუბრისას.

- ალბათ ერთ-ერთი მთავარი თემა რუშმაილოსთან მოლაპარაკებებში ჩეჩენ პატიმართა ექსტრადიცია იყო.

-რუს კოლეგებთან შეხვედრისას დაერწმუნდით, რომ რუსეთის მხარე ამკარად დეზინფორმირებულია საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე. ამიტომ ეს შეხვედრა ორმხრივი

ურთიერთობებისათვის მეტად მნიშვნელოვანი იყო. ჩეჩენი ბოევიკების ექსტრადიციაზე მოსკოვში არასწორად იყვნენ ინფორმირებულნი. ამ შეხვედრაზე რუსეთის უშიშროების საბჭოს წარმომადგენლებს აუხსენით, რომ ექსტრადიციაზე გრძელი გზა აქვთ გასავლელი, უნდა გაიარონ მთელი რიგი იურიდიული, ტექნიკური საკითხები, რაც გარკვეულ დროს მოითხოვს და, რომც მოიპოვონ სათანადო ფაქტები, არცთუ ისე ადვილი იქნება თავად პროცედურა.

- ამ განმარტებას გავებით თუ შეხვდა რუშმაილო?

- ძალიან უცნაურად დაიწყო ჩვენი შეხვედრა - დაძაბული იყო დასაწყისი, მეტად ნეგატიური მუხტით განმსჭვალული, მაგრამ ამის მიუხედავად, მე მგონი, რუსეთის მხარე დავარწმუნეთ, რომ მათი ინფორმაცია მთელ რიგ საკითხებზე არასწორია, ნაწილი უკვე მოძველებულიცაა - ახე, სამი-ოთხი თვის წინანდელია და არასწორია. აღვნიშნეთ, რომ ასეთ შეხვედრები ინფორმაციის გაცვლასა და საკითხების ლიად განხილვას მოემსახურება.

- როგორ ახსნით, რომ რუშმაილსთან თქვენი შეხვედრის პარალელურად საქართველოს პრეზიდენტი რუსეთის ერთ-ერთი გავლენიანი გაზეთისათვის მიცემულ ინტერვიუში აცხადებს - საქართველო მზადაა ტერორისტების გადასაცემად?

- მე ეს ინტერვიუ არ წამიკითხავს, მაგრამ დღეს ჩვენს შეხვერაზე ჩეჩენი ბოევიკების ექსტრადიცია მთავარი თემა არ ყოფილა. ჩვენ შევთანხმდით, რომ, სანამ რუსეთის მხარე არ მოიპოვებს იურიდიულ დოკუმენტებს და არ მოიყვანს შესაბამისობაში საერთაშორისო და საქართველობრივ ნორმებთან, სანამ ეს საკითხი სასამართლო პრცედურას არ გაივლის, ამ თემაზე ლაპარაკი არ იქნება.

- თუ წარმოადგინა რუსეთის მხარემ რაიმე მტკიცებულებები, რომ ეს ხალხი მართლა დამნაშავეა?

- რუსეთის მხარემ არ წარმოადგინა მთავარი არგუმენტი - ის ხალხი, რომლებზე ჩვენი ვსაუბრობთ, მათივე ინფორმაციით, ის დამნაშავეები არიან, ვის ექსტრადიციაშიც მოსკოვი დაინტერესებულია. ჩვენ უნდა გავერკვეთ - არის თუ არა ის დაკავებული რვა ბოევიკი სწორედ ის ხალხი, ვინც რუსეთს უნდა გადაეცეთ, ამას კი მთელი რიგი პროცედურების გავლა დასჭირდება.

- თქვენი რუსი კოლეგები ასეთმა პასუხებმა დააკმაყოფილეს?

- მე დავინახე, რომ რუშმაილო დაეამყოფილა ჩვენმა პასუხმა, იგი



თედო ჭაფარიძე პანკისის ხეობაში.

დაგვთანხმდა, რომ ბევრ პროცედურულ და იურიდიული ხასიათის შეკითხვებზე მოუწევთ პასუხის გაცემა და ამაზე მოსკოვი მოდის. მათ ის უფრო აინტერესებდათ, რატომ გაიჭიმა ეს პროცესი დროში, რა იყო ამის მიზეზი.

- რა არის ამის მიზეზი?

- მე დარწმუნებული ვარ, რომ პრეზიდენტი პუტინი პრეზიდენტ შევარდნაძესთან საუბრისას, ამკარად დეზინფორმირებული იყო იმ რვა ჩეჩნის გადაცემა-არგადაცემის საკითხში. ამას იწვევს ის, რომ დღეს რუსეთში ერთმა უწყებამ არ იცის, რას აკეთებს მეორე უწყება, მეორე

კი არ ეუბნება მესამეს, თუ რა ინფორმაციას ფლობს. ეს საბჭოური რელიქტებია.

- როგორ ფიქრობთ, რა გავლენას მოახდენს მოსკოვში თქვენი ვიზიტი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზე?

- ამ ვიზიტისას კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების გაჯანსაღებისთვის საჭიროა თბილისიდან დედეგაციების ჩამოსვლება, ინფორმაციული გაცვლა, შეხვედრები, პიროვნული ფაქტორის გააქტიურება.

თუ, მაგალითად, ამერიკა-საქართველოს ურთიერთობები გრძელვა-

დიანია და ამერიკელ კოლეგებთან იგივე შეხვედრების შემდეგ გარანტირებული ხარ, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით გაუგებრობები გამოირცხლება, მოსკოვში ეს სიტუაცია არ არის. ძალიან კარგად მუშაობს აქ ჩვენი საელჩო, მაგრამ ასეთი ვიზიტები მაინც რეგულარულად საჭიროა. ჩვენი დღევანდელი შეხვედრის შემდეგ რუსეთისაგან დახლოებით ორკვირიანი ამისუთქვა მივიღეთ და ამ პერიოდში ურთიერთობები სტაბილური იქნება.

- რა იქნება ორი კვირის შემდეგ?

- აი, ეს არის სწორედ სამშუხარო თუ საინტერესო რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში - ორი კვირის შემდეგ კიდევ ვილაც უნდა ჩამოვიდეს და შეასენოს რუს კოლეგებს უკვე მიღწეული შეთანხმებების შესახებ.

- იქნებ, ეს ვითარება შეცვალოს ურთიერთობების მონესრავების გადაყვანამ საქართველო-რუსეთ-ამერიკის მოლაპარაკებათა ფორმატში, მაგრამ რუსეთის ხელისუფლების სხვადასხვა სტრუქტურები ამ პერსპექტივასაც წინააღმდეგობრივად აფასებენ?

- ამაზეც მქონდა რუშმაილოსთან საუბარი - საქართველო-რუსეთ-ამერიკის სამკუთხედზე. კარგი იქნება, თუ უფრო დეტალური ინფორმაცია ექნებათ მოსკოვში ამის თაობაზე, რადგანაც რუსეთის პოლიტიკური სტრატეგიული თანამშრომლობის გაშუქებას შეიძლება, არაადექვატური რეაქცია მოჰყვეს. ამაზე ვლადიმირ რუშმაილოვს ამახილებს ყურადღებას. მე მას დავეთანხმე და ვუთხარი, რომ შესაძლებელია, “სამკუთხედის” გააქტიურებას იგივე რეაქცია მოჰყვეს საქართველოშიც, თუ უფრო ნეგატიური არა.

- სხვა რომელ კონკრეტულ საკითხებზე გამახვილდა ყურადღება?

-ტერორიზმზე, კონფლიქტებზე, პანკისში გელოვეისა და ძმები ახმედოვების ყოფნაზე, ისინი კი იქ სინამდვილეში არ იმყოფებიან. ჩვენ დავუზუსტეთ, რომ რვის ნაცვლად საქართველოში მყოფ ექვს ჩეჩენზე საუბარი, რადგანაც ორი პატიმართაგანი საქართველოს მოქალაქეა. რუშმაილომ ამის პასუხად გვერდით მხმდომ კოლეგებს გადახედა და ჩვენ მივხედით, რომ მათ ეს ინფორმაცია პირველი მთხმინეს.

მთელი შეხვედრება იმაშია, რომ ჩვენი რუსი კოლეგები მოძველებული ფაქტებით ოპერირებდნენ. ამიტომ ადვილი ჰქონდა მწვავე, დამლულ, მაგრამ საჭირო დისკუსია.

დაისვა კავკასიის ოთხეულის შესვედრის საკითხიც, რაც, სომხეთ-აზერბაიჯანის ურთიერთობების გათვალისწინებით, ალბათ, მეუძლეულია. რუშმაილო ამაზე დაგვეთანხმდა, იქნებ სხვა ფორმატი მოგძებნოთ, - შემოგვთავაზა. შევთანხმდით, რომ მეტი ყურადღება დაეთმობა სხვადასხვა უწყებების კოორდინირებულ ქმედებებს, ასევე შევთანხმდით რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების შემსწავლელ სახელმწიფო კომისიის ჩამოყალიბებაზე, რაც ორი ქვეყნის ხელმძღვანელობას საკითხის კოორდინირებულად შესწავლის საშუალებას მისცემს.

- მოსკოვში ტერაქტის შემდეგ მძიმე ვითარებაში ჩავარდნა აქ მცხოვრები ქართველები. თუ იყო ამაზე საუბარი?

-ძალიან დამაჯალებით, თუ ჩვენს ინტერვიუში ამაზე ყურადღებას განსაკუთრებით გამამხილებთ მინდა განაცხადო, რომ ნებისმიერ საკითხს შეუძლია ორი ქვეყნის ურთიერთობებში უარყოფითი მუხტის შეტანა და ამიტომ ფრთხილად უნდა ვიყოთ. ვლადიმირ რუშმაილოს ვუთხარი, თუ როგორ ჩაშალა ორი რუსი და ერთი ქართველი პიროვნების (ქართველის გარეშე ხომ არაფერი არ ხდება!) განცხადებამ თბილისში ჯორჯ ბენსონის კონცერტი.

რუშმაილომ დაგვარწმუნა, რომ რუსეთი ხელისუფლება არ დაუშვებს ნაციონალიზმის აფეთქებას. ტერორიზმს უნდა ვებრძოლოთ, მაგრამ არა ქართველებისა და კავასილეების ხარჯზე. მის გამოშენებ მიზეზებს უნდა შევებრძოლოთ.

სამწუხაროდ, ფაქტია, რომ გარეგან მოვლენები ჩვენს ქვეყანაზე დიდ გავლენას ახდენენ. ამიტომ აუცილებლად მიმართა საქართველოს მიმართ პოლიტიკური ცხოვრების სტაბილურ კალაპოტში ჩაყენება.

...კერძოში შეხვედრის შემდეგ ვლადიმირ რუშმაილოს ვუამხე ერთი “პანკისური ისტორია”. ჩემი მეგობრები, ცნობილი ამერიკელი კავკასიოლოგი და ასევე ცნობილი ამერიკელი ჟურნალისტი პანკისში მყავდა. დუისში, სოფლის ბოლოს, გადავიწყეთ იქაურ ქისტს. იჯდა, წინ ედგა დიდი ტაშტი და შიგ პეპსი-კოლას, ლუდის ბოთლები ეწყო - ბენისონი ყიდავ. ეკითხება ეს ქსტი ჩემს ამერიკელებს - მითხარი, დაარტყამს თუ არა ამერიკა ერასოს. რატომ განიტერესებო, - იკითხეს სტუმრებმა ქისტმა კი მოუწო: ერასოს რომ დაბობავენ, მე უნდა გავითვალისწინო და ბენზინზე ფასი გავზარდო. აი, ასე შეხვდა ერთმანეთს პანკისში გლობალიზაცია და ტერორიზმი. რუშმაილომ ამ ისტორიაზე ბევრი იცნა.

ესაუბრა რუსულან ნიკორაძე

კანცლარია ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზს ჰყიდის

კულტურის სამინისტრო ქონების შენარჩუნებას ცდილობს

სახელმწიფო ქონებას შორის, რომელსაც თავად სახელმწიფო წლების განმავლობაში თანდათანობით ჰყიდის და წლიდან წლამდე სახელისფულო მმართველობას ინარჩუნებს, თბილისის დიდი საკონცერტო დარბაზიც მოხვდა. კანცლარიამ უკვე სთხოვა ქონების მართვის სამინისტროს, თვის ბოლომდე გადაესცეს მასალები ფილარმონიის პრივატიზებასთან დაკავშირებით.

თაა დვალის

ასეთი გადაწყვეტილება 22 ოქტომბერს კანცლარიამ გამართულ თათბირზე მიუღიათ. საინტერესოა, რომ შეკრებაზე, სადაც ასეთი შეთანხმება მზადდებოდა, არ მიუწვევიათ კულტურის სამინისტროს არცერთი წარმომადგენელი. თათბირს, რომელსაც ქონების მართვის მინისტრი და მერიისა და კანცლარიის ხელმძღვანელი პირები ესწრებოდნენ, სახელმწიფო მინისტრის მოადგილე აკაკი ზოიძე თავმჯდომარეობდა. თათბირზე შეადგინეს ოქმი, სადაც წერია, რომ თვის ბოლომდე რამდენიმე სააქციო საზოგადოებასთან ერთად, ფილარმონიის პრივატიზების საკითხიც უნდა გადაწყდეს.

თათბირის შემდეგ კანცლარიაში კულტურის სამინისტროდან სესილი გოიგოშვილის წერილი გაიგზავნა. წერილში მინისტრი დიდი საკონცერტო დარბაზის ქვეყნისთვის კულტურულ ღირებულებასა და მნიშვნელობაზე მიუთითებს და გადაწყვეტილებას აპროტესტებს. როგორც კულტურის სამინისტროში ამბობენ, საპასუხო წერილი კანცელარიიდან მათ არ მიუღიათ.

მოკლედ

16 ნოემბერს ქართველი მომღერლები: ნუცა ჯანელიძე, მაია ჯაბუა და თემურ თათარაშვილი აშშ-ში გაემგზავრებიან. მათთან ერთად, დღევანცაში იქნებიან თბილისის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსი, დავით ოქიტაშვილი და მისი მოადგილე დავით შავიშვილი. მომღერლები 11 სექტემბერს მომხდარი ტერაქტისადმი მიძღვნილ კონცერტში მიიღებენ მონაწილეობას. დავით ოქიტაშვილი და მისი მოადგილე კი, აშშ-ში რამდენიმე პროექტთან დაკავშირებით ადგილზე პროდუქსერ ტერი ბრუქსთან მოლაპარაკებებს გამართავენ. როგორც დავით ოქიტაშვილი ამბობს, საუბარი ამერიკაში ქართული თეატრების გასტროლებსა და გამოფენების მოწყობას შეეხება. დავით ოქიტაშვილს ტერი ბრუქსი „დისნეი-გუნდის“ წარმომადგენლებს შეახვედრებს. მათი დახმარების, ვაკის პარკში „დისნეი-ლენდის“ ატრაქციონებს ჩამოტანენ. ქართველების ამერიკაში ვიზიტი 28 ნოემბერს დასრულდება. **მედია-ნუსი**

■ ■ ■

საქართველოს განათლების სამინისტროს ერთადერთი მუზეუმი ბოლო 11 წელიწადია ყოფილ ნორჩ ტექნიკოსთა კორპუსის (წერეთლის გამზ N1) ერთ ოთახში ფუნქციონირებს. ფანჯრებში მინების ჩასმა მხოლოდ წელულის მოხერხება. ელექტროენერგიის და აუცილებელი ინვენტარის პრობლემა ჯერაც გადაუჭრელია.

მუზეუმი პირველად 1948 წელს თბილისის ყოფილ პირველ საშუალო სკოლაში შეიქმნა. მისთვის გამოყოფილი იყო 350 კვ მეტრის ფართი, რომელზეც 40 ათას ნივთისფონდიანი ბიბლიოთეკა, ზუთი საგამოფენო დარბაზი და მდიდარი საარქივო მასალების საცავი. 1991 წელს თბილისში მიმდინარე ტრაგიკული მოვლენების შედეგად მუზეუმის სავანძურით და პირველი საშუალო სკოლა ერთიანად დაიწვა. მუზეუმის ამჟამინდელი დირექტორის ნატო ჭელიძის თქმით, ბიბლიოთეკიდან და არქივიდან არაფერი გადარჩა. დაიწვა იაკობ გოგებაშვილის მიერ შედგენილი პირველი „დედაების“ 20-მდე სასურათო კლდის ორიგინალი, 1876-87 წლებში გამოცემული ჟურნალი „ივერიის“ ნომრები. ასევე განადგურებულია XX საუკუნის 50-იან წლებში მუზეუმის ხელმძღვანელობის ინიციატივით ჩატარებული ექსპედიციის შედეგად მოპოვებული მასალები, XIX საუკუნის გირის საოსტატო სემინარიის წარმომადგენლების მოსწრების ფურცლები, ქართველ ინტელიგენტთა ხელნაწერი პირადი წერილები. არქივში ინახებოდა 1840 წელს სიმონ კუტის მიერ ხელით გადანერილი „ვეფხისტყაოსანი“, ბოლო ორი საუკუნის მიჯნაზე მოღვაწე პედაგოგთა შრომები და მინაწერები, ამ პერიოდში მოქმედი სკოლებისა და გიმნაზიების ფოტომასალები. მუზეუმი ამჟამად თბილისის მერიის დაქვემდებარებაშია. დღეს ერთ ოთახში შეხიზნული მუზეუმი ათას ერთელამდე შემდგარი ბიბლიოთეკით და თანამედროვე პედაგოგთა წერილებითაა წარმოდგენილი. **მედია-ნუსი**

■ ■ ■

მიუზიკლ „ნორდ-ოსტის“ შემქმნელები და მონაწილეები მოსკოვში, თეატრალურ ცენტრში მოწყობილი ტერაქტის დროს დაღუპული მძევლების ხსოვნის პატივსაცემად კონცერტს გამართავენ. კონცერტები სახელმწიფო ცენტრალურ საკონცერტო დარბაზ „როსიაში“ 9 და 10 ნოემბერს გაიმართება. კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ მიუზიკლ „ნორდ-ოსტის“ მსახიობთა დასი, მომღერლები ლარისა დოლინა, ალექსანდრ მალოზინი, ალიონა სვირიდოვა, ალექსეი კორტნევი და სხვები. კონცერტები მიუზიკლის შემქნის ნლისიათთან დაკავშირებით უნდა გამართულიყოს. მიუზიკლის პროდიუსერის ალექსანდრ ცუკალოს განცხადებით, 23-26 ოქტომბრის ამბების შემდეგ კონცერტის პროგრამა შეიცვალა. საბავშვო საკონცერტო ნომრები შემცირდება და კონცერტს მათორული ტონალობა აღარ ექნება. მონაწილეების თავიანთი გამოსვლებით დაღუპულთა ოჯახებს მხარდაჭერას გამოუცხადებენ და პატივს მიაგებენ დაღუპულებს. უნდა აღინიშნოს, რომ თეატრალურ ცენტრში ტერაქტის შედეგად 120 ადამიანი, აქედან 18 მიუზიკლის მონაწილე დაიღუპა. **მედი-ნუსი**

კალენდარი

6 ნოემბერი

წლევიანდელი წელი ამერიკელი მსახიობისთვის – ეთან ჰოუკისთვის განსაკუთრებით იღბლიანი გამოდგა. 2002 წელს მან დენზელ ვაშინგტონთან ერთად პირველი ოსკარი მიიღო ფილმში “სანვრთელი დედ”, ამავე წელს შედგა მისი სარეჟისორო დებიუტი ფილმით “ჩელსის კარიბჭე”, გამოვიდა ჰოუკის მეორე ნიგნი “ფერფლის ოთხშაბათი” და თანაც ჰოუკს ვაჟი შეეძინა.

ეთან ჰოუკი 90-იან წლებში გამოჩნდა კინოეკრანებზე და მაშინვე მიიპყრო მაყურებლის, განსაკუთრებით კი ქალების, ყურადღება როგორც ნიჭიერმა მსახიობმა და როგორც სიმპათიურმა ახალგაზრდამ.

14 წლის იყო, კინოში რომ გადაიღეს, მის პირველ ფილმს “მაძიებლები” ერქვა. ამას მოჰყვა “თეთრი ეშვი”, “ჰამლეტი”, “მკვდარი პოეტების საზოგადოება”... როგორც მსახიობი ამბობს, ის ბევრად უფრო ორიგინალურია ცხოვრებაში, ვიდრე მისი სერიოზული, ჩაფიქრებული კინოგმირები. ეთან ჰოუკი საკმაოდ თავმდაბალია საკუთარი თავის შეფასების დროს, ერთ-ერთ ინტერვიუში ისიც კი განაცხადა, ჩემი მეუღლე – უმა ტურმანი ჩემზე ბევრად უფრო კარგი მსახიობიაო, თუმცა მისი თაყვანისმცემლების დიდი ნაწილი ამ აზრს არ ეთანხმება.

დღეს ჰოლივუდის ტეხასელი ვარსკვლავი **ეთან ჰოუკი** 32 წლის გახდა. ჰოუკს იმედი აქვს, რომ მომავალშიც ისევე გაუმართლებს, როგორც წელს გაუღიმა ბედმა.

ბარდასული დროის „იხილავი“



ღია ბარათი გუჯაბიძის კოლექციიდან - ბოტანიკური ბაღის ხედი

თეონა ჯაფარიძე

მედიცინების, კარდინალების, რომის პაპების, ტრეტიაკოვებისა, თუ შუქი-ნების ზღაპრულად მდიდრული კოლექციები იმდენ გაკვირვებას არ იწვევს, სამდენადაც უჩვეულო სურვილი - აგროვო, შეისწავლო და მთელი ცხოვრება მიუძღვნა სამკერდო ნიშნების, ქაღალდის ფულის და თქვენ წარმოიდგინეთ, ასანთის კოლოფებისა და მისი ეტიკეტების კოლექციების შექმნას. სწორედ ამ უჩვეულო ადამიანების არსებობამ განაპირობა ისეთი დისციპლინების წარმოქმნა, როგორებიცაა ნუმიზმატიკა, ფილატელისტიკა, ფილოფონია (ჩემის აზრით, ალბათ ყველაზე სასიამოვნო საქმიანობა მუსიკალური კოლექციის შექმნა), ბონისტიკა, ფილუმენია (ეს სწორედ ასანთის კოლოფების შეგროვებაა).

ამ ცოტა ხნის წინათ კლუბ “სარადფის” საშაბატრო ხელმძღვანელმა კიწრეუისორმა, დათო ჯანელიძემ სწორედ ერთი ასეთი უჩვეულო შიროველმა წარგვიდგინა: მირიან გუჯაბიძე უკვე 35 წელია, რაც ღია ბარათების შეგროვებითაა გატაცებული, ის ფილოკატიციაში. მის კოლექციაში მარტო 3 500 ცალი ღია ბარათზე თბილისის ხედვებია აღებული. მათგან ყველაზე ძველი 1890 წლით თარიღდება.

როქს + მოდა = „როლინგ სტონზს“

თამარ ბაბუაძე

“ლიქ-ტურნე-2002” - ამ სახელწოდებით ლოს ანჯელესში გამართული “როლინგ სტონუნის” ტურნე უკვე დასასრულს უახლოვდება. თუმცა, მიმდინარე კვირის განმავლობაში ჯაგუფმა შეძლო, ქალაქი მორიანად საკუთარ პანტეგზე მოეშარათა. მუსიკას “სტონუნმა” მოდელად დაურთო და, საბოლოო ჯამში, არა მარტო როკის თაყვანისმცემლები, არამედ კარგი ჩამცემელი ლოს ანჯელესელიც კი მოხიზნა. შოუ კი პელოუნისის საშში ღამეს დაიწყო...


